



ქართული
რეალთაუი

ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიებანი

XXI

თბილისი 2005

ათონის სალიტერატურო კერა ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო კერების მეშვეობით

ათონის სალიტერატურო კერა ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო კერების მეშვეობით იგი, შეიძლება ითქვას, ამ კერებიდან ამოსიარდა. როგორც კამკელიძე წერს: „ათონის სამონასტრო და სალიტერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ვეპებროვლა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ხის ერთ შტოს. ივერიის მონასტერი პირველ ხანებში იკვებებოდა ტაო-კლარჯეთიდან მომდინარე ტრადიციებით“¹. იოვანე იბერი შეილითურთ – ეყვთვიმეთი, იოვანე-თორნიკე და მისი მძისშვილი გიორგი ვარაზიანი, იოვანე გრძელისძე და არსენი ნინოწმიდელი ეპისკოპოსი, იოვანე ხახულელი, ოქროპირი, შავი გრივალდი, მიქაელ და გიორგი დიაკვნები, ზაქარია მირდატის ძე და ზაქარია ბანელი და მათ გვერდით მყოფი და ათონზე მათ შემდეგ მოსული სხვა მოღვაწეებიც („მობაძაენი მათნი“) თითქმის ეველანი ტაო-კლარჯეთიდან (უფრო კი ტაოდან) იყვნენ.

ტაო და კლარჯეთი, როგორც ცნობილია, ძველთაგანვე თავისი კულტურის ცენტრებით იყვნენ განთქმული. მართალია, ამ მხარეში შემოქმედებითი საქმიანობა მურვან ერუს შემოსევების შედეგად (VIII ს-ის 30-იანი წლები) დროებით შეწყვეტდა, მაგრამ VIII საუკუნისავე მეორე ნახევრიდან – გრივალ ხანძოელის მეთაურობით ამ ადგილებში სამონასტრო მშენებლობის განაღების დროიდან, კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. ტაოსა და კლარჯეთის კულტურის ცენტრებში – ერთი მხრივ, იშხანში, ოქში, ხახულში, პარხალსა და ბანაში, მეორე მხრივ, კიპისაში, ხანძოაში, შატბერდში, პარეხში, ანისა და წყაროსთავში არა ერთი კულტურის ძეგლია შექმნილი როგორც მწერლობის, ისე ხელოვნების ნიმუშების სახით².

ათონის სალიტერატურო სკოლას ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო კერებთან ერთობლივად მოყლი თავისი არსებობის მანძილზე (X-XIII სს.) არ გაუწყვეტია. დღიდან დაარსებისა მონასტრის კადრები ძირითადად ამ რეგიონებიდან იყებოდა.

გიორგი მთაწმიდელის თხზულებიდან „იოვანესა და ეყვთვიმეს ცხოვრება“ ვგებულობთ, რომ ქართველი მოღვაწეები, გარდა იმისა, რომ თავისი სურვილით მადიდონენ ამ საეანეში, მისი შესვეურები – იოვანე იბერი, ეყვთვიმე და იოვანე-თორნიკე თვითონაც იწვევდნენ მათ. ენდა აღინიშნოს, რომ ახალი კადრების მიღება განურსწველად არ ხდებოდა. ისინი, უპირველეს ყოვლისა, ღირსეულ და განათლებულ პირვნებებს არწვედნენ. იმავე „ცხოვრებაში“ ერთგან ვკითხულობთ: „ხალს იყ რა თორნიკ აღმოსავლეთს, შრავალნი ყისოსანნი და სახელთაანი მონაზონნი ნაშობიანა, სიმრავლე არამცირედი, და ენება, რამთა ქართველნი ოდენ იყენენ მონასტრისა ამის მკვდრნი“³.

„ცხოვრებაში“ მოთხრობილია აგრეთვე „სანატრელი და წმიდა“ ბერების, შემდგომში ცნობილი მწიგნობრების, იოვანე გრძელისძისა და არსენი ნინოწმიდელი ეპისკოპოსის (რომლებიც მანამდე ჯერ ოთხოა ეკლესიაში, ხოლო შემდეგ პონტოს უდაბნოში მოღვაწეობდნენ) ათონზე მიწვევისა და წაყვანის ამბავი⁴.

წარმოების მიხედვით, იოვანე გრძელისძე და არსენი ნინოწმიდელი ეპისკოპოსი აშკარად ტაოელები არიან, ეყვთვიმე, რომ ტაოდან უნდა ყოფილიყვნენ ათონზე თორნიკის მიერ აღმოსავლეთიდან⁵ წაყვანილი „სახელთაანი მონაზონნიც“.

¹ კამკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 84-85.
² აქ შექმნილია ხელოვნებისა და მწერლობის ძეგლების შესახებ დაწვრილებითი ისტორიკობრივი, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვეთი მეორე, თბილისი, 1962, გვ. 383-476, და ამ წიგნში დამოწმებული ლიტერატურა.
³ ძეგლები, II გვ. 49.
⁴ იქვე, გვ. 56-57.

ამ მიზნისათვის, რისთვისაც დაარსდა დამოუკიდებელი ქართული მონასტერი ათონზე, პირველი რიგის საქმე უნდა ყოფილიყო აგრეთვე მონასტრის ბიბლიოთეკის შექმნა, მისი საჭირო ხელნაწერებით შევსება. ათონის ივირონის მონასტრის ბიბლიოთეკაში დღემდე შემორჩენილი ქართული ხელნაწერების კოლექცია (რაც აღბათ უმნიშვნელო ნაწილია ძველად არსებულისა)⁵, გეინვენებს, რომ ბიბლიოთეკა განსაკუთრებით პირველ ხანებში სწორედ ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო კერებიდან ივსებოდა. კლარჯეთის სამწიგნობრო კერაში - ოპიხაშია გადაწერილი 913 წელს გრიგოლ ოპიხელის მიერ ე.წ. ოპიხის სახარება, რომელიც დღესაც ათონის ივირონის მონასტრის ბიბლიოთეკის კუთვნილებაა. თუმცა მის სადაურობაზე არავითარი ცნობა არ გვაგვანია, მაგრამ ვუყიქრობთ, რომ ტაო-კლარჯეთის რომელიცა სამწიგნობრო კერიდან უნდა იყოს ჩატანილი ათონზე X ს-ის პაგიოგრაფიული კრებული Ath 8-ც (აღ. ცაგარლის აღწერილობის მიხედვით Ath 57 ხელნაწერი). არაათონური წარმოშობისად მიიჩნევენ ამ ხელნაწერს ნ.მარი, პ.პეკტერსი და ილ. აბულაძე. ამ ვარაუდს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ხელნაწერში რომდენიმე სომხურიდან თარგმნილი სომეხ მსლავწათა წაშებაა შეტანილი (იხ. მინაწერი ხელნაწერის 357 რ-ზე: „ესე წაშებანი სომხურითგან თარგმნილ არიან“). ათონელი მწიგნობრები კი ათონზე ამგვარ ტექსტებს არავითარ შემთხვევაში არც თარგმნიდნენ და არც გადაწერდნენ (ამის შესახებ ქვემოთ).

ტაო-კლარჯული წარმოშობისა გვევლინა აგრეთვე „ათონის მრავალთავის“ სახელით ცნობილი, ასევე X ს-ის ხელნაწერი Ath 11-იც, რომელშიც 94 თხზულებიდან ექვსა მხოლოდ უხედეხი, ათონელებადვე არსებული, თარგმანითაა წარმოდგენილი.

საგანგებოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ათონის ივირონის მონასტერს მისი დაარსების დროისათვის ყველაზე მჭიდრო კავშირი ტაოს სამწერლობო კერებიდან ოშკის ლავრასთან ჰქონია. ოშკის სივანე, რომლის მშენებლობის დამთავრებასაც X საუკუნის 70-იან წლებში ვარაუდობენ, უკვე ამ წლების დასასრულისათვის ქართული მწერლობის ერთ-ერთ ძირითად კერად გვევლინება⁶. ბოლადრიინდელი გამოკვლევების შედეგად გაიჩქა, რომ ოშკის ლავრის დამაარსებლები, მისი კტიტორები ყოფილან ტაოს მსხვილი ყვოდალური ოჯახის - სორდვანელთა გვარის წარმომადგენლები იოვანე-თორნიკე (დიდი თორნიკე, ივირონის მონასტრის ერთ-ერთი მესვეური და ბარდა სკლაროსის დამამარცხებელი გმირი 978 წელს) და მისი ძმა იოვანე ვარაზ-ვანე⁷. ამებს ეს მონასტერი დაუარსებიათ როგორც მათი საგარეულოს (სორდვანელთა სახლის) კუთვნილება⁸.

დღეისათვის ივირონის ქართველთა მონასტერში ოშკის ლავრაში გადაწერილი სამი ხელნაწერი ინახება: Ath 9 (ე.წ. ოშკის „სამოთხე“ - 977 წლისა), Ath 1 (ოშკის ბიბლია - 978 წლისა) და Ath 3 („იოვანე ოქროპირის ცხოვრება“ - 979-980 წლებისა). სამივე ხელნაწერის დამკვეთია იოვანე-თორნიკე (Ath 9-ის დამკვეთად თორნიკესთან ერთად ნანს მისი ძმა იოვანე ვარაზ-ვანეც). იგი სამივეგან სვინგელსხად იხსენიბა ვეყიქრობთ, რომ ეს ხელნაწერები საგულდაგულად ათონის მონასტრისათვის გადაიწერა, ცხადია, მისი ახლად დაარსებული

⁵ ათონის ივირონის ბიბლიოთეკა განსაკუთრებით მდიდარი ყოფილა ბერძნული ხელნაწერებით. ამას ადასტურებს დღემდე ამ ბიბლიოთეკაში შემორჩენილი ბერძნული ხელნაწერების სიმრავლე და აგრეთვე ის, რომ სხვადასხვა დროს აქედან გატანილი ბერძნული ხელნაწერები არაერთი ქვეყნის დიდი ბიბლიოთეკის კუთვნილება გამოსდარსხვიათა შორის, „იოვანესა და ეფთემეს ცხოვრებაში“ გიორგი ათონელი ამის შესახებაც მოგვითხრობს, თუ როგორ აღუდგინენ საწუქრად ივირონის მონასტრის მესვეურები ათონის სხვა მონასტრების ბიბლიოთეკებს ბერძნულ ხელნაწერებს.

⁶ ოშკის ტაძრის ამშენებლად განუბინა შვილმა კელდის წარწერაში მოხსენიებული გრიგოლ ოშკელი მინინა (იხ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბილისი, 1944, გვ. 199, სქ.). არ გამოირიცხავენ იმათაც, რომ ეს გრიგოლი შეიძლება იყოს ქართული მწერლობის ისტორიაში ცნობილი გრიგოლ ოშკელი - გრიგოლ ნაზიანზელის ორი პიმილის (Or 7 და Or 27) მთარგმნელი (იქ. თაყაიშვილი, ლ. მენაბდე, კერები ...).

⁷ თორნიკეს დაკვეთით გადაწერდა ხელნაწერთა ანდერძების, ივირონის ხინფიკონის მონაცემებისა და ივირონისავე ბერძნული აქტების შესწავლის საფუძველზე დადგინდა სორდვანელთა გვარის წარმომავლობა სორნანელთა დიდი ყვოდალური კერიდან, როგორც მისი ერთ-ერთი შტოსი. (J. Lefort, D. Papachryssanthou, Les premiers géorgiens a' l' Athos - Bedi Kartlisa, XLI, 1983, pp. 27-33; Actes d'Iviron. I. Paris, 1985, pp. 3-13. ელ. მებერველი სორდვანელთა დიდი სახლის ისტორიისათვის, ნარ. კვეცივი ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბილისი, 1996, გვ. 5-34.

⁸ ელ. მებერველი, ოქმ. გვ. 33.

ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად. საფიქრებელია, რომ ისინი ათონზე სულაც თვითონ თორნიკეს უნდა ჩაეტანა⁹.

ოშქში გადაწერილ აღნიშნულ სამ ხელნაწერთან ერთად იმავე წლებში (981 წელს) გადაწერილია და საგანგებოდ ათონზე გასაგზავნად გაუშვადებით მეოთხე ხელნაწერიც. რომლის ტექსტიც „განის“ სახელწოდებით ყოფილა ცნობილი. ხელნაწერი დღეისათვის დაკარგულია და მხოლოდ მომგებლის ანდერძის მქონე ერთი ყურცელია გადარჩენილი¹⁰.

„განის“ ხსენებულ ანდერძში შემდეგი რამ იკითხება: „მე, იოვანე თორნიკოფილმან, ძემან სულკურთხეულისა ნორდვანელისაჲმან, შრომაჲ ვეჲ და დავწერე წმიდაჲ ესე წიგნი, რომელსა ეწოდების „განის“, და შემდეგ: „და მევე, იოვანე სენგელაოზმან მიუძღუნე წმიდაჲ ესე წიგნი („განის“ - ელ.მ.), მოძღუარი მართლმადიდებლობისაჲ, მთასა წმიდასა ათონას, რომელსა შინა ცხოვლებიან კაცნი ჳორცითა მსგავსად უწორციოთა, და რამეთუ მეცა მას შინა მხოველ სახე მონახონებისაჲ“¹¹.

ჩვენივე ცნობილი არ არის, თუ რა შინაარსის იყო ეს „განის“, რადგან მსგავსი სახელწოდების თხზულება ქართულ მწერლობაში დღეისათვის არ იძებნება. ანდერძში მოცემული განმარტების მიხედვით კი – „მოძღუარი მართლ- მადიდებლობისაჲ“ - იგი დოგმატიკური ხასიათის ნაწარმები ჩანს¹².

დასახელებული ანდერძის მიხედვით „განის“ გადაწერით არა ოშქში, არამედ კარინის ქვეყანაში. ესაა სამხრეთი ტაოს ტერიტორია სამხეთის სახლვარზე. როგორც ანდერძში წერია, ამ ხელნაწერის მომგებელიც თორნიკეა (იხევე როგორც დანარჩენ სამ ხელნაწერში, იგი აქაც სვინგელაოზად იხსენიება). ხელნაწერის გადაწერ-შემოსვლები კი არიან ოშქის მონასტრის ცნობილი და სახელმთხვეგელი მწიგნობრები (ოშქის ბიბლიის გადაწერნი) – მიქაელი და სტეფანე¹³. ანდერძის ეს ნაწილი ამგვარად იკითხება: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ქვეყანასა კარინისასა დასაბამითგანთა წელთა ხყჲ, ქორნიკონსა სწა კელთა გლახაკისა მიქაელ მწერალისაჲთა და შეიმოსა სემ გლახაკისა სტეფანესითა, სუენოსცა ლაცეჲ ეათო, დაგაჯეროს ღმერთმან“.

კარინის ქვეყნის აქ მოხსენიებასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ თორნიკეს ბარდა სკლიაროსზე გამარჯვების აღსანიშნავად ბერძენთა მეფეებისაგან სახუჭრად უნდა მიეღო სწორედ ეს ტერიტორია ე.წ. კარინის ქვეყანაში და თავისი მფლობელობის განსამტკიცებლად ოშქის სკრიპტორიუმის ბასზე აუშენებინა ქართული მონასტერი (როგორც ოშქის ყილიალი). მასვე უნდა გადაეყვანა ამ მონასტერში ოშქიდან მიქაელი და სტეფანეც¹⁴.

ამ ოთხი ხელნაწერის ანდერძების შესწავლის საფუძველზე და მათი დახმარებით ბევრ გაურკვეველ და საინტერესო საკითხს მიუყვინა ნათელი. პირველ რიგში, მოხერხდა Ath 9-ის ანდერძში მოხსენიებული წორდვანელთა გვარის წარმომადგენელთა იდენტიფიკაცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ათონის ქართველთა მონასტრის მესამე წინამძღვარი, გიორგი I, რომელიც ამ მოსტყე „დიდისა“ და „მამუგნებლის“ სახელი დაიმკიდრა, იოვანე-თორნიკეს ძმისწული აღმანნდა – ძე იოვანე ვარაზენესი¹⁵. დადგინდა ისიც, რომ გიორგი I-ის სახელის უკან იოვანე ვარაზენეს ძე – მიქაელი უნდა იმალებადეს, ის მიქაელი, რომელიც

⁹ ამ ხელნაწერთა აღწერილობები დაწერილებით იხ. „ქართულ ხელნაწერთა აღწერვლობა“ (ათონური კოლექცია), ნაკვეთი 1, 1986, გვ.გვ. 28-30; 34-49; და „წიგნი ბუელისა აღთქუმისანი“, ნაკვეთი 1, თბილისი, 1989, გვ. 559-572.

¹⁰ მისივეის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ბერძნული კოლექციის №62 ხელნაწერში იგი საცაყ ყურცლად ყოფილა გამოყენებული (იხ. ელ.მეტრეველი, წორდვანელთა დიდი სახლის ისტორიისათვის, ნარკვევები ... გვ. 24-34).

¹¹ ელ.მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

¹² ამ თხზულებას იცნობს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. მაკარი თბილისელთან საუბრის დროს გრიგოლ ხანძთელი ამბობს: „გრიგოლ ღმრთისმეტყველი იტყუეს სამებისა სამგუამოვნებისათვის: არაჲმს იყენნ ლამის ხანთელნი სახლსა შინა, ვერ ვგებთ განყოფილ ნათელსა მათისა და ვერცაღა ეკუდალად შერქნას მათი“. ესე არს სარწმუნოება წმიდისა სამებისა და „განისა“ წერილ არს ყოველი ტექმარტებით და ამას იტყუეს, რამეთუ: „ამაჲ ძესა არცა თუ თუალისა წამითა არა უხუცეს არს“ (ძეგლები, 1 თბილისი, 1963, გვ. 212-213). „განის“ რომ სწორედ დოგმატიკური ხასიათის თხზულება უნდა ყოფილიყო, ეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ამ კონტექსტითდანაც ჩანს.

¹³ როგორც ჩანს, ხელნაწერი გადაწერია მიქაელს, შუემოსავს და ანდერძი დაუწერია სტეფანეს.

¹⁴ ელ.მეტრეველი, ნარკვევები ... გვ. 29-34.

¹⁵ ელ.მეტრეველი, ნარკვევები ... გვ. 38.

ათონსე ჩახვლამდე ხელნაწერთა გადამწერად იყო ცნობილი. (აშქის ბიბლია, „განძი“)¹⁶ რაც შეეხება თვითონ იოვანე იბერის და ყვთეიმეს ნათესაობას ჩორდვანელებთან, იოვანე ამ ოჯახის სიძე ნანს – ქმარი იოვანე-თარნიკს ბიძაშვილისა, აბუპარზ ჩორდვანელის ასულისა¹⁷.

აღნიშნული იდენტიფიკაცია და აგრეთვე ის ფაქტიც, რომ წლების მანძილზე უფრო ხუსტად, XI ს-ის 40-იან წლებამდე (ეიდრე გიორგი მთაწმიდელის გამოჩენამდე) ამ მონასტრის შესვეურთა (წინამძღვართა) კადრებიც ძირითადად ჩორდვანელთა ოჯახის წარმომადგენლებით კომპლექტდებოდა, იმ ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას იძლევიან, რომ აშქის ღაერის მსგავსად ათონის ივირონის მონასტრის ჩორდვანელთა საკუთრებად, მათ საგამგებლად მივიწინოთ¹⁸. ამ ფაქტების გათვალისწინებით შემთხვევითი არ უნდა იყოს თარნიკის განსაკუთრებული მხრუნველობა ამ მონასტრის მიმართ, როგორც მისი მშენებლობის, ისე „სახელთაწიანი“ და მწიგნობარი ბერების მიზიდვის და ჩაყვანის და მისი ბიბლიოთეკის ძირფასი და მნიშვნელოვანი ხელნაწერებით შევსების საქმეში.

როდესაც ათონის სალიტურატურო სკოლა აშქის და საერთოდ, ტაო-კლარჯეთის სამწიგნობრო კერების შემკვიდრედ ცხადდება, აქ რა თქმა უნდა, პირველ რიგში იგულისხმება იდეური შემკვიდრება და არა მხოლოდ ის, რომ, როგორც ხეშოთ აღვნიშნეთ, ათონის ივირონის მონასტრის ძირითადად აქაური მწიგნობარი მოღვაწეებით აკომპლექტდებოდა.

ტაო-კლარჯეთიდან (განსაკუთრებით ტაოსად) მწიგნობარი ბერების ერთი ნაწილის ასე ერთბაშად და ასეთი დიდი რაოდენობით ათონის მთაზე გადახვლას და აქ გასაცრად მოკლე დროში სამწიგნობრო კერის დაარსებას, ცხადია, თავისი მიზეზები და მიზანი უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდევცმართალია, ქართველი ბერების ამ მოძრაობას დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ ამ დროისათვის ტაოს სახელგანთქმულ მეფეს, დავით კურაპალატს, პოლიტიკური არიენტაცია ბიზანტიასზე ჰქონდა აღებული, მართალია ისიც, რომ დამსუიქებელი ქართული მონასტრის აშენებისათვის ათონზე გარკვეული პირაბები (როგორც მაკრთილური, ისე უფლებრივი) შექმნა თარნიკის დამსახურებამ და დიდად გასრდილმა ავტორიტეტმა ბიზანტიის მეფეთა წინაშე¹⁹, მაგრამ ეს ის ფაქტარები იყო, რომლებიც ხელს უწყობდა და აადვილებდა ქართველი მწიგნობარი ბერების ათონსე მხედრებს, მათ იქ დამკვიდრებას.

ტაო-კლარჯეთიდან მწიგნობარი ბერების ათონზე მიდენა თუ თავისი სურვილით, თუ მონასტრის შესვეურთაგან მათი მიწვევითა და ჩაყვანით (გაეიხსენოთ იოვანე გრძელისძისა და არსენი წინაშემდელი ეპისკოპოსის მიწვევისა და მათი პონტოს უდაბნოსა ჩაყვანის ამბავი) მარტო მონასტრის ქართველებით გასრდის სახელოებით არ იყო გამოსწვეული, („ათთა ქართველნი ოდენ იყენენ მონასტრისა ამის მკვდრნი ყოველნი“). ამ ფაქტს, პირველ რიგში, ეროვნულ-კონფესიონალური საფუძველი ჰქონდა. იმდროინდელი ქართული მოწინავე საზოგადოება, რომელსაც, ცხადია, ჩორდვანელთა საგვარეულოც ეკუთვნოდა, ტაოს იმპაინდელი მეფის, დავით კურაპალატის, მეთაურობით, არ შეიძლება არ დაეყოფრებინა საქართველოს ამ რეგიონების – ტაოსა და კლარჯეთის გართულებულ მდგომარეობას სწორედ ეროვნულ-კონფესიონალური თვალსაზრისით. სახელდობრ, იმ მხრივ, რომ რაკი აქაური მოსახლეობა სომხებთან ერთად და მათ მეხოხლად ცხეურობდა და ლიტერატურულ-მთარგმნელობითი საქმიანობითაც ბევრწილად მათ უკავშირდებოდა, საშიშროება იქმნებოდა ქართულ მწერლობაში და აქედან ქართველ მრევლში მონაყოხიტური ერესის შეღწევისა. ვეიქრობდ, რომ სწორედ ამის გამო მოელი სიმწვავეით უნდა დამდგარიყო საკითხი ამ ერესისაგან ქართველთა მართლმადიდებლობისა და, აქედან გამომდინარე, მათი ეროვნული ინტერესების დაცვისა.

ეს საკითხი უფრო მწვავედ უნდა მდგარიყო ტაო-კლარჯეთის ქართველი მოსახლეობისა და მისი მეფის წინაშე, რადგან თითქმის მათ თვალწინ გათამაშდა და დასრულდა მისი და საბედისწერო ტრაგედია მეხოხლედ ქვეყანაში – ალბანეთში. ალბანი ხალხი, რომელსაც ძველთაგანვე დღევანდელი ახერბაიჯანის ტერიტორია ეკავა და ძლიერი სახელმწიფოც იყო, როგორც ცნობილია, VIII საუკუნის 20-იანი წლებიდან სომხური

¹⁶ იქვე.

¹⁷ იქვე გვ.

¹⁸ იქვე გვ. 44.

¹⁹ ულმეტრეველი, ნარკვევები ... გვ.36.

მონაფიზიტური ეკლესიის უძლიერესი გაელენის ქვეშ მოექცა. სამხურმა ეკლესიამ დაწვა და გაანადგურა დიოფიზიტურად მიჩნეული ამ ხალხის ლიტერატურა, რის შემდეგაც მონაფიზიტური აღბანეთი გადავიდა სამხურ ენასა და მწერლობაზე და X საუკუნის ბოლოსათვის საბოლოოდ გაქრა და დაიკარგა კიდევ²⁰.

აღნიშნული საშიშროებიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ ძირითად გზად უნდა მინიჭებულიყო მართლმადიდებლური შინაარსის სახულიერო თხზულებების თარგმნა უშუალოდ ბერძნული ორიგინალებიდან, სამხურის გამოყენების გარეშე. „თენიერ სამხურისა“ – როგორც იმდროინდელი მწიგნობრები იტყობდნენ²¹. ასე რომ, უპირველესი მიზანი, რაც ათონის ქართულმა საკრებულომ დაისახა, იყო დოგმატიკური თვალსაზრისით ქართველი ერის განათლება და შესაბამისად მისი დაცვა ჯერ მონაფიზიტური, ხოლო შემდეგ ყველა ერისისაგან საერთოდ. ჩვენი აზრით, ამ დღეში მიზანმა განსასაღვრა ათონზე დამოუკიდებელი ქართული სამწიგნობრო კერის იმ დროისათვის ასე მოკლე ხანში შექმნა.

თუ რა ძლიერი იყო დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე დიოფიზიტ ქართველებსა და მონაფიზიტ სამხურს შორის და როგორ გადადიოდა ეს დაპირისპირება ერთენებათა შორის მსაყრ სიძულვილში, კარგად ჩანს გრიგოლ ლეთისმეტყველის 43-ე კომილიის (Εἰς τὸν Βασιλεῖον Ἐπίσκοπον Καισαρείας Καππαδοκίας, ἐπιτάφιος) ეყთვიმე

ათონელისეული თარგმანიდან. ეყთვიმეს ამ თარგმანში სამხური რელიგიის სიძულვილის გამა სამხეი ხალხის მიმართ შემდეგი, სრულიად არაკორექტული გამოთქმები აქვს ნახმარი: „რამეთუ ვითარცა არს ნათესაჲ იგი სამეხთჲა არა წრყელი, არამედ მსაკუგარი და გულარძინი და ბორბტი, მიმგაგებული კდელთა მათ, რამელნი დაყარულ არიან ზღუესა შინა და ვერ იხილვენ მათ მენავენი, ვიდრე არა ხცენ ნაჲ და განტეხონ. ესრეთ სხუთა სტყუან იგინი და სხუთა უც გულსა მარადის, და სიწყობება მათ თანა არა არს. და რაჲ საკრველ არს. უკუეთუ კაცსა ეცრუვნენ, ვინათგან თავადისა ღმრთისა მიმართ ცრუ არიან და მსაკუგარ და ბორბლად აღმსარებულ“ (§17,84)²².

ერთენულ-საოფიზიანლური თვალსაზრისით ქვეყნის დაცვა, პირველ რიგში, ცაის მეფის, დავით კურაპალატის, საზრუნავი უნდა ყოფილიყო და იყო კიდევ, თუ გაეთვალისწინებთ იმას, რომ დავითი საქართველოს ისტორიაში ერთენული ხელისკეპობით გამოსრეული მეფე იყო, რამელიც „მთელი თავისი მადეაწყობით ქართული სახელმწიფოს მშენებლობის დიდ საქმეს ემსახურებოდა“²³.

ამის და ათონის ლაერებში შექმნილ ისტორიულ წყაროებში (იგულისხმება Ath 9 და H 2251 ხელნაწერთა ანდერძები და გიორგი მთაწმიდელის „თეგანესა და ეყთვიმეს (ხსენება“) დავით კურაპალატი, იგივე დავით ქართველთა მეფე“ დაახსიათებულთა როგორც უმაღლესი ღირსებებით შემკული მეფე, პირველ რიგში კი, როგორც დიდად მორწმუნე

²⁰ სახა აღექმბი,კავკასიის აღბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა,თბილისი, 2003, გვ. 57.

²¹ ეს გამოთქმა ნახმარია Ath 10 ხელნაწერის ანდერძში (268v), რომელიც ეყთვიმეს სიკაცხლუში, 1008 წელსაა გადაწერილი: „წმიდა და ხალსი წუენი და სამკალსი ყოველთა ქრისტიანეთაო,სტროპიორ, მეს ემეწ წინამუ ქრისტს, ღმრთისა წუენისა, მამთა წუენთა თეგანეს და ეყთვიმეს, რომელმან ესე თარგმნა ბერძულთისაგან ქართულად, თენიერ სამხურისა“. ამ ანდერძიდან აშკარაა, რომ ეყთვიმეს მიერ ბერძნულთან ქართულად თარგმნა „თენიერ სამხურისა“, კი. უშუალოდ სამხური თარგმანის გარეშე, კი დღეი სიხად იყო, რომელიც ეყთვიმე დაუპირისპირდა თავის წინამორბედ მთარგმნელებს (პირველ წმიდა მამებსა და მწიგნობრებს) იხ. ელმეტრეველი, ნარკვევები ... გვ. 121.

²² Sancti Gregorii Nazianzeni opera. Versio Iberica, IV, Oratio XLIII, ed. A.Bernard Coulie et Helene Metreveli et K.Bezarachvili, Ts. Kourtsikidze, N.Melikichvili, Th.Otkhmezuri, M.Raphava, Turnhout, Leuven, 2004. სხვათა შორის უნდა ვთქვათ, რომ ეყთვიმეს ამ ადგილას ამ ფრაზის წართვისათვის ბიტი მისცა თხზულების ბერძნულმა დედანამ, სადაც სამხეიბი ამავე ადგილას ასევე არაკორექტული გამოთქმით მკაცრ დაახსიათებულთ თავად გრიგოლ ნაზიანზელს. (ეყრემის თარგმანი: „არა მარტვე ნათესაჲ ემსებ სამეხთისა, არამედ ყრიად დაყარულ რამე და ზღესკლდე“).

²³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები ... II, 487.

²⁴ დავით კურაპალატის „ქართველთა მეფე“ მოხსენიების შესახებ იხ. H 2251 ხელნაწერის ანდერძები: 46r, 301r, 364r. აგრეთვე წიგნში „ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეყთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოსცემისა და დამსახურება და უფროსი ც.ჭურციკიძე, თბილისი, 1983, გვ. 016-02; ნ.შოშიაშვილი, IX-X სს. ტაო-კლარჯეთის პატრიარქონის სოციელო ქრისთლოგიური საკითხი(მოხსენება წაკითხულია 1977წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიასზე).

პირენება, რომელიც ამავე დროს ამ მონასტრებში გაშლილი საქმიანობის აქტიური მონაწილეცაა²⁵.

Ath 9 ხელნაწერის მომგებლები, ძეგლი ნორდვანელები - იოვანე თორნიკეოვილი და იოვანე ვარაზიანი ხელნაწერისათვის დართულ ანდერძში დავით კურაპალატის შესახებ შემდეგს წერენ: „დავწერეთ წმიდა ესე წიგნი ... ხალაყველად და სადიდებულად პირველად ძლიერისა და ღმრთისმსახურისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლისა კურაპალატისა დავითისთვის, რათა სათნოდ ღმრთისა ქცევითა მისთათს დაუმკდროს მეფეჲჲსან სუყუეჲს დაუსრულებელს, რამეთუ მართლმადიდებლობისა თუალი არს და მსგავსად შემოქმედისა თვისისა სიმდაბლისა წესისა შინა დაუკლებელად იქცევის და საღმრთოსსა სიყუარულისა ჯაჭვთა აღჭურვილი და მოწყალებთა ქრისტესს სახედ შეუქმოსიეს, რამეთუ სულიწმიდას თანამხრახველად აქუს, რომელი ორძის გონებასა შინა მისისა, ვითარცა თავი აგებულებასა ზედა ნივთიერსა“²⁶.

როგორც ცნობილია, ბახილი დიდის „სწავლათა“ ყვთვიმე ათონელისეული თარგმანის გადმოწერი ბერი იორდანი დავით ქართველთა მეფის, იმავე დავით კურაპალატის, ბრძანებით გაემგზავრა ტაოლან ათონზე, რათა ეს კრებულს სასწრაფოდ გადაეწერა და სამშობლოში წამოეტანა: (ათონამდე ეს გზა რომ დაეყარა, მას 96 დღე უვლია) „ბრძანებაჲ მქონდა ნუსხვისსაჲ ოდენ სისწრაფისაგან“ - წერს იგი ამავე ხელნაწერზე დართულ ერთ-ერთ ანდერძში (H 2251, 204 რ.). თავის ანდერძებში იორდანი დავით ქართველთა მეფეს ახასიათებს როგორც „კეშმარტიად მკვდარსა ქრისტესისა და საღმრთოთა საქმეთა მესიებულსა“ (364 რ.), „რომელი სურვიელ იყო და მსურრე სძენად საღმრთოთა მათ თქუშულთა მოძღურებისათა და მიმლოდებელ“ (344 რ.).

გიორგი მთაწმიდელი „იოვანესა და ყვთვიმეს ცხსურებაში“ გახასხავს რა დავით კურაპალატის საგანგებო ინტერესს ყვთვიმეს მთარგმნელობითი საქმიანობის მიმართ, წერს: ყვთვიმემ „მრავალნი წიგნი წარსცინის წინაშე დავით კურაპალატისა, რომელნი-იგი იხილნა რაჲ, ვითარცა იყო მორწმუნე, სიხარულითა აღიღეს და ადიდებდა ღმერთისა და იტყუდა: მადლი ღმერთისა, რომელმანს სუენთა ამათ გამთა ახალი თქრთპირი გამოსინა, და ზედასხუდა მთუწერნ, რათა თარგმნიდეს და წარსცემდეს. და იგი ხანატრელი შეუსუენებელად თარგმნინ“²⁷.

თანამედროვეთა მიერ დავით კურაპალატის ამგვარი შეფასების შემდეგ საკვებით დამაჯერებელია ვარაუდი იმის შესახებ, რომ დავით კურაპალატს ათონზე მიმდინარე ლიტერატურულ-მთარგმნელობითი საქმიანობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სიმაღლეზე ქონდა აყვანილი²⁸. უყრო მეტიც, ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ კერაში ეს საქმიანობა სულაც თვითონ დავითის მიერ დასახული პროგრამით ხორციელდებოდა და მისი ერთგული პოლიტიკის ნაწილი იყო.

ასე რომ, რადეცა დავით კურაპალატი ათონიდან ყვთვიმეს თარგმანების მიღებას მოუთმენლად ელოდა და ასე რიგად ეშურებოდა, იგი ამ ლიტერატურით, პირველ რიგში, ქართველი მართლმადიდებელი ერის, სარწმუნოებრივ განათლებაზე ზრუნავდა, რახედაც ბევრად იყო დამაყოდებელი ქართული მართლმადიდებლური სახელმწიფოს გადარჩენა, მისი თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ათონის სამწიგნობრო კერამ, ძირითადად კი ყვთვიმემ თავისი თარგმანებით, დასახული მიზანი რომ პირნათლად შეასრულა, ამის შესახებ საკმაოდ ვრცლად მთავითხრობს გიორგი მცირე „გიორგი მთაწმიდელის ცხსურებაში“: „გერეთვე დაღაცათუ პირველითაგანე გუქონდეს წერილინიცა და სარწმუნეობაჲ კეშმარტი და მართალი, გარნა ქუეყანაჲ სუენი შორს იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა და, ვითარცა თესლნი არაწმიდანი, შორის სუენსა დათხულ იყენეს ბორატნი იგი თესლნი სომეხთანი, გულარძინილი და

²⁵ როგორც ცნობილია, დავით მაგისტროსი (იგივე დავით კურაპალატი) იხსენიება ოშკის ტაძრის დიდ სამშენებელს წარწერაში როგორც ამ მშენებლობის მონაწილე ბაგრატ ერისთავთ-ერისთავთან ერთად: E. Такашвили. Археологическая экскурсия в южные провинции Грузии, Тб. 1952, გვ. 57-61; ებერიძე, ძველი ქართველი ისტორიკოსი, თბილისი, 1967, გვ. 75.

²⁶ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვ. I ... გვ. 47.

²⁷ ძველები, II, გვ. 61.

²⁸ ელ. მეტრეველი, ნარკვევები ... გვ.

მანქანანი, და ამის მიერ ყურად გუვენებულა, რამეთუ ნათესაი ჩუენი წრფელ იყო და უმანკოდ ხოლო იგინი რეცა მიზეზითა წესიერებისადთა, რეცა ცოუნებად გუაზმნობდეს, და რომელნიჲე წიგნიცა გუაქუნდეს მათგან თარგმნილნი. ამათ ესვეითართა მიზეზთათჳს მოხედნა მოწყალეებამან ღმრთისამან ნათესაეხა ჩუენსა და აღგუდგინა ახალი სკოპირი, წმიდაჲ მამად ჩუენი ეფთჳმე, და, ვითარცა მეთცამეტემან მოციქულმან, ქუეყანად ჩუენი ამათ ხემოკუნებულთა ღუარძლთაგან სრულიად განწმიდა მრავლად თარგმანებითა წმიდათა წერილთაითა და წესნი და კანონნი ეკლესიისანი, დამამტკიცებელნი სარწმუნოებისა ჩუენისანი, ესე ყოველნი აღწერილად დაგტკენა. რომელნი-იგი წმიდისა ამის მოთსაგან და ღმრთივალშენებულისა ღაერისა²⁹, ვითარცა მდინარისაგან ედემიანისა ნაკადულნი ცხორებისანი, პირსა ზედა ქუეყანისა და ნათესაეისა ჩუენისასა მიეყინეს³⁰.

ახე რომ, როგორც ზემოთ ვწერდით, უპირველესი მიზანი, რაც ათონის ქართულმა საკრებულომ დაარსებისთანავე დაისახა, იყო სასულიერო მწერლობის ძეგლების რაც შეიძლება მრავლად თარგმნა და ამ თარგმანების მეშვეობით ქართველების დოგმატიკური თვალსაზრისით განათლება, რაც უსათუოდ განაპირობებდა მათ დაცვას მონოფიზიტური და სხვა ერესებისაგან.

TS. KOURTSIKIDZE

CENTRE LITTERAIRE ATHONITE ET TAO-KLARDJETHI

RESUME

Le centre littéraire athonite fondé sur les traditions littéraires de Tao-Klardjethi se proposait de traduire la littérature religieuse directement de la langue grecque; Cela contribuerait à l' instruction des Géorgiens au point de vue dogmatique, ce qui les garderait de toute hérésie et surtout de l' hérésie monophysithe, dont le danger existait à cause de la population arménienne.

²⁹ ცნობილია, რომ ივირონის მონასტრის ტიმიკონი (აწესნი და კანონნი) დიდ წილად ათანასის ღაერის ტიმიკონს ემყარებოდა.

³⁰ ძეგლები ... II გვ 123-124.